

# ଶୋଭା

№8, 2016



# ფულების წერილი დაივს



ბატონო დათვო, მოგმართავთ თხოვნით,  
თანაც პირველად არა – მესამედ.  
მზამზარეული თაფლის სანაცვლოდ,  
ნედლი ყვავილის წვენს მიეძალეთ.

დალოცვილ ტყეში რა დალევს ყვავილს,  
ტკბილი ნექტარი წუნეთ და წუნეთ!  
კბილის ტკივილი აღარ გაგტანჯავთ,  
ზედმეტი წონა არ შეგანუხებთ.

პატარებზედაც იფიქრეთ ცოტა,  
დრუნჩი მუდამ რომ თაფლი გაცხიათ,  
თუ ბავშვებს წვეთიც აღარ შეხვდებათ,  
მაშინ ჩვენს შრომას რაღა ფასი აქვს?

ნუ გაგვაწილებთ, დათვო ბატონო,  
ვფიცავართ, ვალში არც ჩვენ დაგრჩებით,  
გასულ ახალ წელს, ხომ კარგად გახსოვთ,  
უგობინაყოდ დარჩნენ ბავშვები.

ნუ გაბრაზდებით, ნურც გეწყინებათ,  
თქვენ მრისხანება სულაც არ გშვენით,  
გპატიობთ, წინა თხოვნის პასუხად  
ფიჭა თავზე რომ გადაგვაფშვენით.

თაფლისთვის მტრებად ხომ არ ვიქცევით?  
ერთმანეთს ხომ არ გავებუტებით?  
ერთ ტყეში ვცხოვრობთ, ბოლოს და ბოლოს.

პატივისცემით, თქვენი ფუტკრები.



მხატვარი  
ნანა სანაია

# კუკუმა

## ლუგილი



„გუგულმა“ ქშენით გაიარა გვირაბი და წალვერის მთებს შეჰკივლა. ექო სადღაც ჩაიკარგა და უკან არ დაბრუნებულა. არც გაჰკვირვებია – რამდენი ხანია, ექო აღარ ბრუნდებოდა. წავიდა და წავიდა, უკვალოდ დაიკარგა. „გუგულმა“ კიდევ ერთხელ შეჰკივლა და ტყები გაუჩინარდა.

ფერდობმა ამოიოხრა. წარსული გაახსენდა და წამი მოადგა ცრემლად. მერე კალთაზე დაიხედა, ხავსი დაიბერტყა და სევდიანად გადაავლო თვალი იმას, რაც დარჩა.

უცებ... რაღაც შენიშნა... პატარა, ხას-ხასა მწვანე...

– ნუთუ წაძვია?! ჩემი სიცოცხლის გაგრძელება?

პატარა წაძვი შეიშმუშნა, წინვები შეარჩია და ირგვლივ მიმოიხედა. გაოცებით შეათვალიერა მეზობლები – წელში მოკაული, მერქანგალეული, შემოდგომის ბოლოს მიწაში ეულად შემორჩენილი სარებივით გაშიშვლებული წაძვები. უბრალოდ წაძვები არა – წაძვთა იარაღაყრილი, დამარცხებული ჯარი.

– რა დაემართათ? რატომ არ აცვიათ მწვანე სამოსი? – იკითხა გაოცებულმა პატარა წაძვმა.

– უთანასწორო ომში დაკარგეს წინვის აბჯარი, – სევდიანად უპასუხა მთის ციცაბო ფერდობმა.

– ომში? – წინვები გაოცებით აახამხამა პატარა წაძვმა.

– ჰო, ომში.

– ომში წაძვებიც მიდიან?

– არა, ომი თავად მოდის მათთან. – ამოიოხრა მთამ.

– და წაძვები მარცხდებიან?

– ხანდახან ასეც ხდება. ცეცხლი მერ-

ქანზე ძლიერია. წოქავს და ანადგურებს. მერე ის მიდის და ტოვებს საბრალოებს ასე, სამოსშემოძარცულს, ვეღარაფრით იფარავენ სიშიშვლეს და ზეზეურად კვდებიან სირცხვილისა და სიბრაზისაგან.

– ადრე... ადრე ჩემნაირი წინვები ჰქონდათ?

– ჰქონდათ რომელია?! – ამაყად წარმოთქვა ფერდობმა და ცას ახედა მეოცნებები თვალებით. – წინათ ამაყად გადასცქეროდნენ ხეობას. დოინჯშემოყრილნი, მედიდურნი... მათი წინვებით სუნთქავდა არემარე. იქით გაიხედე – ხედავ ლამაზ ხის სახლებს? ეს წალვერია. ჩემი წაძვები ასაზრდოებდა და კვებავდა, უუჳ, რამდენი ხანი... რამდენი საუკუნე! ახლა კი, წახე, დამწკრივებულან და ასე მდუმარედ ხმებიან, ფეხქვეშ მარილივით ეფშვნებათ მიწა და თითქოს ცაში არიან გამოკიდებულნი – კვდებიან ამ ძმათა სასაფლაოზე. მეწამულ ცაზე ჩემი კონტურიც კი შეიცვალა. აღარც „გუგულის“ კივილის ექო გაისმის ისე რიხიანად, როგორც მაშინ – ხმა ჩემი წაძვების დამწვარ სხეულებს შორის იკარგება და იფანტება სადღაც ჩემ მიღმა.

– საბრალოები. ალბათ, სცივათ. – შეეცოდა მეზობლები პატარა წაძვს.

– მერედა როგორ. აქაური ზამთარი ძალიან მკაცრია.

– იქნებ, ვუშველოთ? – დაიშრიალა ისევ პატარა წაძვმა.

– აბა, როგორ? – ამოიოხრა ფერდობმა.

– აგერ, კრავები რომ ბალახს ძოვენ, ისინი გავკრიჭოთ. ცოტაოდენი ღრუბლის ფთილაც შევურიოთ სიმსუბუქისთვის და ძაფი დავართათ. თითისტარზე დავახვიოთ წლები უსასრულო...



## მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

— მერე? — მთის კალთამ ყურები ცქვიტა.

— მერე მე მოვიმარჯვებ გამხმარ ტოტებზე შეტეხილ ჩხირებს და ახალ სამოსს მოვუქსოვ. ფესვებზე თბილი წინდები ამოვაცვათ, მორკალულ კისერზე — თბილი კაშნები შემოვახვიოთ, სამფად — რომ არ გაცივდნენ იმ ცივ ზამთარში! კენწეროებზე ფერად-ფერადი ნაქსოვი ქუდები ჩამოვაკოსოთ და ტოტებზეც ხელთათმანები წამოვაცვათ. იქნებ, გაცოცხლდნენ და ისევ ამწვანდნენ.

— რა კეთილი ხარ, ჩემო პატარავ. მაგრამ ეს შეუძლებელია. ნაძვები უკვე შეუყვნენ აღმართს, აქაური ბებიებივით (რომ გაიკრიფნენ თავიანთ წინა ომში გაშვებულ და ვერდაბრუნებულ პაპებთან: თამარა — გოგიასთან, სონა — ნიკალასთან, ქსენია — მიტოსთან).

მათ ვეღარაფერს უშველი, პატარა ნაძვო. დე, განისვენონ ნაძვთა სასაოფლაოზე სამარადისოდ.

— მერე ტყეები? მერე ექო? მთების კონტური?

— შენ ხომ აქა ხარ. გაიზრდები, ტანს აიყრი, დაიტოტები... მალე შენი და-ძმაც დაიბადება. ისინიც გაიზრდებიან, ტანს აიყრიან, დაიტოტებიან და ტყეც გაჩნდება.

— ვაჲ, რა კარგია! და ეგ როდის იქნება?

— მალე, სულ მალე! სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში, პატარა ნაძვო!

პატარა ნაძვმა გადამწვარ ტყეებს, გადამწვარ მთებს გახედა და ხასხასა, მწვანე ტოტები იმედიანად შეარხია.

„გუგულმა“, ამჯერად ზემოდან მომავალმა, ისევ შეჰქივლა მთებს. პატარა ნაძვი შეაკრთო ხმამ, მერე გაშალა პატარა ტოტები, სასაცილოდ გაიჭიმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გასძახა: „გუ-გუუ!“

## ლია კოჩალაძე

არჩია და ახარისხა  
გასართობი იორამშა,  
გალალდა და გახალისდა,  
იცელქა და იონავრა.  
ზოგი წითლად, ზოგი თეთრად  
შეღებილი ბრუნავს სკამი,  
დასკუპდა და სკამთან ერთად  
ბრუნავს ჩვენი იორამიც.  
როგორ ფიქრობთ, ვერ გაბედავს  
შემოჯდომას იორლაზე?  
ვერაფერი იმოქმედებს  
ჩვენს უშიშარ იორამზე!  
იხვენება: ჯერ ნუ წავალთ,  
მაჩუქეთო კიდევ წამი  
და თუ წამი მისდევს წამებს  
არ დაეძებს იორამი...



## ზოია ვაშაკიძე

# კარის დარაჯერა



დაიბადა წუხელ,  
პანაწინა კნუტი,  
მოიმარჯვეს სწრაფად,  
კატუნებმა პულტი:  
გადართეს და გადმორთეს...  
საათია ათი,  
ყველა არხზე გადასცეს,  
დაბადება კატის.  
ესემესებს გზავნიან:  
დათვი, ტურა, მელა –  
საკატეთის ლხინი,  
იზეიმა ყველამ.  
სიხარულის ხმები  
შორს მიჰქონდა ნიავს...  
მოწყენილი ჩანდა,  
მხოლოდ თაგუნია.

მხატვარი  
თეა მიქაია

"მარტინე"  
რთული კონკურსი

# ხეგვენი

(ხალხური ზღაპარი)

ერთმა კაცმა შეკაზმა ცხენი და ქალაქში წავიდა. ათი ბათმანი ქერი იყიდა.

— მეგობარო, ეგ შენი ცხენი ექვსი ბათმანის მეტს ვერ ზიდავს, ოთხი  
ბათმანი ქერი აქ დატოვე და ხვალ წაიღეო, — ურჩია გამყიდველმა.

— სწორია, ჩემი ცხენი ბებერია, — მიუგო მყიდველმა, — მისთვის ექვსი  
ბათმანიც კი ბევრია, ხუთ ბათმანს ცხენს გადავკიდებ, დანარჩენს კი მე  
წავიღებო.

ასეც მოიქცა: ხუთი ბათმანი ცხენს გადაჰკიდა, ხუთი ბათმანი თვითონ  
გადაიდო მხარზე, შეჯდა ცხენზე და გასწია.

საცოდავმა ცხენმა ცოტა რომ გაიარა, დადგა, ფეხები ეკეცებოდა.  
შინამდე, აბა, როგორ მიაღწევდა!

— აი, შე სამგლე, შენა! — შეუძახა პატრონმა, — რა ღმერთი გინყრება, ხუთი  
ბათმანი ხომ მე მომაქვსო. — უყვიროდა პატრონი ღონემიხდილ ცხენს და თან  
ჯოხს ურტყამდა.

ჩაინერა ლადო გვიშიანმა.  
№ 4, 1969 წ.

მხატვარი  
თამაზ ხუციშვილი

## მზეს უმზონა

საყვარელო,  
ერთხელ მაინც  
დაგეხარა თავი,  
მეტიჩარა ხომ არა ხარ,  
თავკერძა და ავი?  
მოცინარმა  
შენმა სახემ  
დილით მზეს უმზირა,  
და მიტომაც,  
ყვითელგულას,  
გქვია მზესუმზირა.

აზია ჩხეტიანი

## ჩა წნას გოგნაშ?

არ იქნა და აღარ იშლის  
ხის ტოტებზე ხეტიალს –  
რა ქნას გოგრამ, აღარ იცის,  
კვალში ვერ დაეტია...  
ხეები კი ბუზღუნებენ:  
– უკვე მეტისმეტია!  
დაუფარა თურაშაულს  
თითქმის მთელი კენწერო,  
– ნუ მიწყრები, ჩემო ძმაო,  
ზეცას უნდა შევწვდეო.  
ყვავილები გადაბარდნა  
ყვითელ-ყვითელ ქოლგებად  
და ხე ისე მიმოქარგა,  
ხმა გაკმინდეს ტოტებმა.

# ლალი ჯათარაშვილი

## გვალვა


მინას წყალი სწყურია,  
დაიშაშრა სრულიად.  
წყალს ითხოვენ ვარდები  
და ლობიოს ბარდები...  
ლობის ძირში გოგრა ხვნეშის:  
– მომაწოდეთ ერთი პეტვი!  
ალვა ცისკენ იწვდის ღეროს:  
– მოგვეშველე, ცისიერო!  
ცვარ-ნამს ითხოვს ყველა ფესვი,  
ზოგი ოხრავს, ზოგი კვნესის...  
მზეს არ ესმის მათი კვნესა,  
ყველას წილი წყალი შესვა!  
ამოაშრო ტბორები, ღელეები, რუები...  
დედამიწის ვიშვიში არ აწუხებს სრულებით!

მხატვარი  
მანანა მორჩილაძე

მუხა შესთხოვს სიოს:

– იმ მთას გადადიო,  
ინახულე დედო ქარი,  
მომიკითხე, როგორ არი,  
შეუძახოს ღრუბელ ბეყოს,  
მხართეოზე წოლა ეყო.  
უთხარ, დაძრას ღრუბლის ჯარი,  
მთას გადმოლმა გადმორეკოს,  
თორემ ბალი, ზვარი, ყანა  
ნაურდოვალს დაემგვანა!..  
ტოტებს შორის გაძვრა სიო,  
გადაევლო დამშრალ იორს...  
მიაცილებს ასი თვალი  
– ნეტავ, მალე ნახოს ქარი,  
რომ მოუსწროს წამისწამად  
წვიმამ დამჭკნარ ზვარს და ყანას.





830ക്കു 14




830ക്കു 16




830ക്കു 12




კავკაციური მნიშვნელობის ნიმუში





კავკაციური გას იპოვეთ. მომგები ყანიშელის ნახატები.








გვალისროვნე




გვალისროვნე ის იპოვებ 7 განხევაზებს ამ თესლებს შორის.



ՀԱՅՈՂՈՒՏԻՒՆ ԲԱ ՏՅԱՅԻՆԻ ՊՈՊՈՂՈՒՄ ՍԵՐՋՄԵ ԹՑՈՒՆ  
ԵՎԿՏՇԵՐՈ ԲՊՃԵՏՈ.




კავშირის ნახტომის სრული შეცვლის გენერატორი  
თემის ფანჯრით.




გათვალისწინებული მხრივ მოვალეობის სრული გადასაცემი  
და მიზანის მიღება. მის მსოფლიო უძრავები ბეჭის კონკრეტული



ზოგ ძვრისხმა უნდა ნაყინი. მომძრო გვა უნდა თორმე? ამ გავაკინებულებ ნახსენი გათემოვნებს.



გვათემოვნებ რა იწოვე. ამ თონისხმა მომძრო გვიგა განხევავებულო.



გვალების გა იპოვე. მამული თავის ნახვები.



സ്വാസ്ഥ്യസ്രൂത





მოამზადა  
ალეკო გაგალაიამ



## როგორ სრაძმისნები გონიერებას მოვალეობის



### განხევზების

ერთხელ, დიდ ფრანგ განმანათლებელს, ვოლტერს ჰქონითეს:

- რა განსხვავებაა კარგსა და მშვენიერს შორის?
- კარგი მუდამ დასაბუთებას ითხოვს, მშვენიერს კი დასაბუთება არ სჭირდება. - უპასუხა მწერალმა.



### უციფროი მეცნიერის

ერთხელ ერთი მღვდელი მოლიერს შეუჩნდა, მონასტერს რამე შესწირეო.

- არ შემიძლია, - შეესიტყვა მწერალი, - ყელამდი ვალებში ვარ ჩაფლული!
- მაგრამ ყველაზე მეტად უფლის მოვალე ბრძანდებით, უფრო მეტად, ვიდრე ერთად აღებულ ყველა შენს მევახშეზე, - არ ეშვებოდა ღვთისმსახური.

რა თქმა უნდა, ეს ასეა, - დაეთანხმა მოლიერი, - მაგრამ უფალი ისე უტიფრად არ მოხველოს, როგორც ზოგიერთი სხვა ჩემი მევალე.



### ზოგჯერ ბარბარის

### ყოფილის უწესესება

ერთხელ ღამით ბალზაკის საძინებელში ქურდი შეიპარა. რა ნახა უშფოთოველად მძინარე მწერალი, მპარავმა მშვიდად მიჰყო ხელი თავის საქმეს, - დაინყო მასპინძლის სეკრეტერში ქექვა.

მოულოდნელად ქურდს რომანისტის ხითხითი შემოესმა.

შემკრთალმა და გაოცებულმა მწერალს ჰქითხა:

- მოსიე, რას ხედავთ აქ სასაცილოს?

- მეგობარო, თქვენ გსურთ ღამით იპოვოთ ის, რაც მე დღისითაც ვერ მიპოვია?

# ნაყაფიანი

— უაკო, დღეს სპლიუვი ყურბარტყუუნას დაბადების დღე რომ არის, გაიგე?

— არა, არა, — თავი გაიქნია თუთიყუშმა და ტოტზე წამოსკუპებულ კაჭკაჭს ახლოს მიუცუცქდა, — კაჭო, გოგო, არ გვეპატიუებიან?

— დაპატიუება რად გვინდა? შარშან ორი წლისა რომ გახდა, ყველანი ვიყავით, ბელადონას უგემრიელესი ტორტით გაგვიმასპინძლდნენ. ახლა ბიჭს სამი წელიუსრულდება და ხელს რა შეუშლით?

— არაფერი, — დაეთანხმა უაკო, — როგორ მიყვარს ტორტი... — ენა გაანკლა-

პუნა თუთიყუშმა. — რომელ საათზე უნდა მივიდეთ?

— ჯერ მთელი ტყე დავიფრინოთ და ყველას შევატყობინოთ, რომ ხუთი საათისთვის ყურბარტყუუნასთან ვიკრიბებით.

თუთიყუშმა და კაჭკაჭმა მოილაპარაკეს თუ ვინ ვისთან გაფრინდებოდა და საქმეს შეუდგნენ.

სალამოსათვის ყურბარტყუუნას მეგობრები დაირაზმნენ და სპილოების სახლს მიადგნენ. ვის არ ნახავდით: ბეჭემოთისა თუ მარტორქის ნაშიერებს, პატარა უირაფებისა თუ ზაქების ჯოგს, უამრავ





მხატვარი  
ზაურ დეისაძე

ანტილოპასა თუ შველს, ათასი ჯურის ფრინველთა ბარტყებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სპლიყვის დაბადების დღე ერთი თვის მერე ყოფილა და კაჭოს, უბრალოდ, თარიღი შემლია.

პატარა ცხოველები ატირდნენ. დედა და მამა სპილოები მათ დამშვიდებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ – ციცქნა ბეჟემოთები თუ ლომის ბოკვერები, ნიანგები თუ ზაქები, მართვეები თუ ბარტყები ცრემლად იღვრებოდნენ და ქვითინის შეწყვეტას არ აპირებდნენ და იცით, რატომ? მათ ტორტი ისე ძალიან უყვარდათ, რომ ვეღარ ჩერდებოდნენ.

ამის შემხედვარე მამა სპილომ პატარების ტირილს ვეღარ გაუძლო და ბელადონასთან მაღაზიაში დარეკა, ერთტონიანი ხილისა და ნიგვზის ტორტი შეუკვეთა, ხოლო მეუღლე ცისტერნა ლიმონათის მოსატანად გაგზავნა.

მამა სპილომ ცოტა ხანში ხვნეშა-ხვნეშით მოიტანა, ზურგზე მოკიდებული უზარმაზარი და ულამაზესი ტორტი, ხოლო დედიკომ – მსხლის ლიმონათით სავსე დიდი ცისტერნა მოარიხინა და მაგიდის განყობას შეუდგა.

პატარები დაწყნარდნენ, ტირილი შეწყვიტეს, მაგიდას მიუსხდნენ და პირის ჩასატკბარუნებლად მოემზადნენ. დედა სპილომ ტორტი ყველას თავისი ზომის მიხედვით მოუჭრა: ბეჟემოთებსა და მარტორქებს ოცდაათკილოგრამიანი ნაჭრები შეხვდათ, ლომებსა და ზაქებს – თხუთმეტკილოგრამიანი, ზოგიერთ ბარტყეს – ოცგრამიანი...

მოკლედ, ჩემო პატარებო, კაჭკაჭის ნაკაჭკაჭარს უქმად არ ჩაუვლია: ტყის ყველა პატარა ბინადარი მეტად კმაყოფილი დარჩა, ტორტითაც ისიამოვნეს, ბლომად ლიმონათიც ყლუპეს და რაც მთავარია – ბევრი იცინეს და კარგადაც გაერთნენ.

# ბანგარის და ჩოტე თავგადასეკუალი

ჩოტე და შენზეათ ცყის სახლში

ტექსტი ლელა ცუცქილიძისა  
მხატვარი იულია ნიკოლოვა

ზანზარა, გინდა,  
სოფელში წავიდეთ?  
იქ, ტყეში, ერთი  
სახლია, სადაც ჩემი  
ბაბუის ბაბუის ბაბუა  
ცხოვრობდა.



წავიდეთ! ვითომ  
ჩვენც არდადეგებზე  
მივდივართ.

მე მშიშარა კი არა,  
ფრთხილი ვარ, ბევრსაც  
იმიტომ ვკითხულობ,  
რომ მშიშარა აღარ ვიყო.  
მაგალითად, ვიცი, რომ  
ვამპირი ღამურები მხოლოდ  
ამერიკაში ცხოვრობენ და  
აღარ მეშინა.

ეს წამდვილად  
შენი ნათესავია,  
შენსავით  
მშიშარა ყოფილა.



ამ დროს  
კარადიდან  
სახლის  
მოჩვენება  
გამოვიდა.



ამ სახლში, როგორც  
ჩანს, აღარავინ  
ცხოვრობს, რა სიჩუმეა.

მოულოდნელად მთვარით განათებული ოთახის  
ჭერსა და კედლებზე ღამურას უზარმაზარი ჩრდილი  
გამოისახა!



ჩუ, გვიშველე!  
ეს ჩემზე დიდი  
ყოფილა!

დარჩი რა... და  
ისა... მოგწონს  
ჩემი სიმღერა?

აი, ის რომ არ ვიცოდე, რომ ამხელა  
ლამურები ბუნებაში არ არსებობენ  
და ეს მხოლოდ ჩრდილია, მეც  
თქვენსავით შემეშინდებოდა.  
ეს კი შეხედეთ, თაგვზე პატარა  
ლამურა ყოფილა.

შენი სევდიანი სიმღერა  
მესმოდა ხოლმე და ვიფიქრე,  
სულ მარტოა ამხელა ტყეში  
და მივალ, დავუმეგობრდები-  
მეთქი, შენ კი კარადიდან არ  
გამოდიხარ. წავალ, თუ ასე  
გეშინია ჩემი.

ჰო, მხოლოდ ისეთი  
სევდიანია, სულ  
მეწრიპინება ხოლმე.

ახლა მხიარულ  
სიმღერას  
ვიმღერებ, მარტო  
ხომ აღარ ვარ.

მე კი ვიცეკვებ.  
უჱ, რა მხიარულად  
დაიწყო ჩვენი  
არდადეგები.

შენ კი არა, მეც  
ვიცეკვებ, ისე  
გამიხარდა ამათი  
დამეგობრება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იმ ღამით არც ერთს არ უძინია,  
დილამდე მღეროდნენ და ცეკვავდნენ. **21**

# სასალისო კეცეპტები

## ხაჭაპური

გავაძრტყელე ცომის გუნდა,  
ჩავდე ერბო, ყველის გული,  
მალე სუფრას დაამშვენებს  
გემრიელი ხაჭაპური.

## ჩემი წიმონათი

მოვაგროვე ლიმონი  
ზუსტად ათი ცალი,  
გამოვწურე წვენი და  
დავამატე წყალი,  
თეთრი შაქრის ნატეხი  
ჩავუმატე ათი,  
მოდით ყველამ გასინჯეთ,  
ჩემი ლიმონათი.

## ნუშის ნამცხვარი

სწრაფად ვთქვიფე კვერცხები  
ღიღინით და კისკისით,  
დავამატე შაქარი,  
ნუშები და ქიშმიში.  
ჩავუმატე კეფირი,  
გავაცხელე ღუმელი,  
მერე ფქვილი ჩავყარე –  
ცომია თუ ღრუბელი?  
დაიბრანა ოქროსფრად  
ჩემი ნუშის ნამცხვარი.  
რეცეპტია მარტივი  
სულ ეს არის, რაც არის.


# ზოომოვანები

\*\*\*

ზურგით დააქვს თავის ბინა,  
ზარმაცია და ზოზინა,  
სტუმარს გარეთ ალოდინა,  
დაიძინა თვითონ შინა,  
ნეტავი, ვინ აწყენინა,  
იმალება .....

\*\*\*

მზემ ხიდი გადო ცაზე –  
შვიდფერი – ვეებერთელა!  
სანამ გაქრება, ნახეთ –  
ელვარებს .....



აბა, ვინ მეღ განსხვავებას იპოვის?!



შოთა აშირანაშვილი

## ამოვანი

ეკას პანია ჩანთაში  
ჩხრიალი გააქვს კაკალს.  
თუ რვა ცალს მისცემს პაპუნას,  
ერთით ნაკლებს კი – მაკას,  
მაშინ თავისეთვის დარჩება  
მაკაზე ორით მეტი.  
აბა, რამდენი ჰქონია,  
რომელი უმალ მეტყვის?!

## შაჩარი

ორი სხვადასხვა რიცხვია –  
ერთი მეორეს ერთვის;  
პირველის ბოლო მარცვალი  
ზედმეტი არის ჩვენთვის...  
ნეტა, რა დროა გასული,  
აბა, დახედე, ერთი.



რომელი  
ფრაგმენტი  
არ ჩანს დიდ  
სურათზე?



ISSN 0132-5965



მთავარი რედაქტორი დოდო ნივნივაძე

ნახატი ყდაზე: მანანა მორჩილაძისა

მის.: ზანდუკელას ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი

უურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო



გვერდის  
სახე